საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

1445-გ-2-201405141845

N 1445-გ 14/05/2014

GRASS REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 144
თარიღი: 15 05 2014 წ.

საქართველოს რეფორმების ასოციაციის დირექტორს
ბატონ სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განიხილა მიმდინარე წლის 28 აპრილს თქვენი სახელით ფონდში შემოსული # 4028- 01 განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე, რომელიც 2010-2015 წლებში ანაკლიაში დაგეგმილ და განხორციელებულ ნაპირსამაგრ სამუშაოებს ეხება.

გაცნობებთ რომ, 2013 წლამდე საქართველოს მუნიციპალურ განვითარების ფონდს მსგავსი ტიპის პროექტები ანაკლიაში არ განუხორციელებია, ხოლო 2013 წლის 12 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად მიმდინარეობს „ანაკლიის ნაპირდამცავი ნაგებობის მშენებლობის I-ეტაპი" საკონტრაქტო ღირებულებით - 15,800,759.49 ლარი. სამუშაოები განხორციელდება 2,3კმ მანძილზე. აღნიშნული პროექტი დასრულდება მომავალ წელს. რაც შეეხება ანაკლიაში 2015 წელს დაგეგმილ ნაპირსამაგრ სამუშაოებს, ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ რომ , დაგეგმილია „ანაკლიის ნაპირდამცავი ნაგებობის მშენებლობის II-ეტაპი , სამუშაოები მოიცავს 1,5კმ მანძილის ნაპირგამაგრებას. რაც შეეხება აღნიშნული სამუშაოების ღირებულებას, გამომდინარე იქიდან რომ, ამ ეტაპზე ტენდერი არ არის ჩატარებული საპროექტო ღირებულების გასაჯაროება დონორის მიერ დადგენილი წესებით ფონდს არ შეუძლია.

პატივისცემით ,

ლანა ბერიძე

ლ. ბერიძე

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

საზ-ბასთან ურთიერთობის სამსახური

დ. აღმაშენებლის გამზ. №150
0112, თბილისი, საქართველო
ტელ. (+99532) 2437001/02/03
ფაქსი: (+99532) 2437077
ელ. ფოსტა: mdf@mdf.org.ge

№150 D. Aghmashenebeli Ave.
0112, Tbilisi, Georgia
Tel: (+99532) 2437001/02/03
Fax: (+99532) 2437077